

140
1940 1/2



პიონერი



ოქტომბერი
1940 წ.—№ 10

გამომცემლობა
„ქართული“



პიონერი

საბ. ალკ ცენტრალური კომიტეტისა და
საბ. განსახკომის ემთხივური შუანალი
ოქტომბერი 1940 წ. № 10

„ПИОНЕРИ“ журнал Центрального Комитета ЛКСМ Гр. и Наркомпроса Грузии.

გამომცემლობა „კომუნისტი“. რედაქციის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34, ტელ. 3-02-61.

შინაარსი

	83.
1. გახსოვდეთ ლენინის ნააწერტყვი (წერილი)	1
2. შიოკი კახახიკი—გური (ლექსი)	2
3. ბ. მანთიკი—ქართული ხალხის დიდი მედაგოგი (წერილი)	3
4. სანდკო შუანდი—საყვარელი წიგნი (ლექსი)	4
5. „დედა-ენის“ ერთ-ერთი გვერდი	5
6. ილია სინახალიკი—„დედა-ენა“ (წერილი)	6
7. ი. გომეზაშვილი—დედა და შვილები (ლექსი)	7
8. შაძკო სანდკოშვილი—მოხუცის ხე (ლექსი)	7
9. ან. თევაკი—„ბუნების კაი“ (წერილი)	7
10. ლადო ბალიაშვილი—სასჯელი (მოთხრობა)	8
11. ს. ზარბიკი—მივიღებო წითელ ჯარში (ლექსი)	11
12. ძ. თოთიბაკი—დიდი პროლეტარული სარდალი (ნარკვევი)	12
13. ვ. ხაჩიკი—გულმოდგინედ ვიმუშაოთ (წერილი)	14
14. საქართველოს კომკავშირის XV ყრილობა	16
15. კოსკორდი	16
16. ნორი ავტორთა შემოქმედება (ლექსები) გარეკანის მე-3 გვ.	
17. სურათები ი. გომეზაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების გარშემო გარეკანის მე-4 გვ.	

ურნალის დასურათება ეკუთვნით მხატვ. ი. ქიქიაშვილსა და ი. ჯგაფიშვილს.


ვდახე: სახალხო საცენარისი სპორტული შეჯიბრების ნომარტი. (იმილისის იპოდრომი), 11 წლის 8. შელია.

პასუხისმგებელი რედაქტორი—ან. დულბარკი	პასუხისმგებელი მდივანი—ს. სინახალიკი
---------------------------------------	--------------------------------------

გადეცა წარმოებას 8/X 1940 წ.	ქაღალდის ზომა 62x92
ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/XI 1940 წ.	ფორმათა რაოდენობა 20 გვ. 9 ¹ / ₂ x14

უგ—3059 შეკ. (Заказ) № 1197. ტირაჟი (Тираж) 19.500

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.
Полиграфкомбинат „Комунისტი“, имени Л. П. Берия, Тбилиси, ул. Ленина № 28.



ბასსოვდომ ღენინის ნაანდერძევი

ამხანაგო პიონერებო! ოცი წლის წინათ, 1920 წლის 2 ოქტომბერს, როცა ჯერ კიდევ მტკიცედ სცემდა სპეტაკი გული მსოფლიო გენიის — დიდი ლენინისა, რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ყრილობის დელეგატებმა საამო გულის-ცემით მოისმინეს ილიჩის სიტყვა „ახალგაზრდობის კავშირის ამოცანებზე“.

და აი მაშინაც, როგორც ყოველთვის, დიდი ლენინის თვითებულ სიტყვა ისმოდა, როგორც საბრძოლო მოწოდების ხმიანი საყვირი, ბგერდა, როგორც საუკუნეებისათვის მისაღები და საჭირო ანდერძი.

იმ სიტყვებმა, ვითა დღევანდელმა სიახლემ, თავისი ძალა და მნიშვნელობა არამც თუ არ დაკარგა, არამედ უფრო შეიმოხა დიდი ღირსების შა-რავენდელით.

ილიჩის სიტყვის თვითებელი აბზაცი ნამდვილ წინასწარმეტყველებას შეიცავს.

აი ერთი მათგანი: „...თაობა, რომელიც დღეს 15 წლისაა, აი ის მოესწრება კომუნისტურ საზოგადოებას და თვითონ იქნება ამ საზოგადოების მშენებელი.“


და მან უნდა იცოდეს, რომ მისი ცხოვრების მთელი ამოცანა — ამ საზოგადოების მშენებლობაა“.

და მართლაც, განა სწორედ ის თაობა, რომელმაც მჭიდროდ შეავსო ლენინ-სტალინის პარტიის რიგები, დღეს არ არის ექტორი და უშუალო მშენებელი კომუნისტური წყობისა?

გნებავეთ ვისაუბროთ იმის შესახებ, თუ რა ძლიერ საჭირო და საპროგრამო საკითხი განაეითარა ილიჩმა მაშინვე თავის გამოსვლაში. ეს იყო საკითხი სწავლის შესახებ.

„და აი, ამ თვალსაზრისით თუ მიუღღებებით ახალგაზრდობის ამოცანების საკითხს, უნდა ვთქვა, რომ საზოგადოდ ახალგაზრდობის და კერძოდ კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირთა და ყოველგვარ ორგანიზაციათა ეს ამოცანები შეიძლებოდა ერთი სიტყვით გამოვეცხატა: ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ისწავლონ.“

ასე უთხრა ილიჩმა ყურადღებამაღებულ დელეგატებს, რომლებიც არ მოელოდნენ ამგვარ ბასსოს და ან როგორ წარმოიდგინდნენ ისინი, რომ მათ



როდესაც ქვეყნის პური უჭირდა, საჭირო იყო კულაკებისაგან პურის აკრება (რასაკვირველია, ბრძოლით), საჭირო იყო ვრანგელის თარევისაგან სამშობლოს დაცვა, მისი განადგურება, განადროლა რჩებოდა სწავლისათვის? „ნუთუ?“—დაისვა მრავალი დღეღატის გონებაში კითხვა, მაგრამ გენიოსის მტკიცე აზრმა უმაღლე ფაფანტა წუთით დაბადებული ექვები:

„კომუნისტი შეიძლება მხოლოდ მაშინ გახდეს, როცა შენს მეზობლებს გაიმდიდრებ ყველა იმ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუზღუდავია“. დაამთავრა რა თავისი გენიალური აზრის ერთი ნაწილი, მან განაგრძო: „თუ მე ვიცი, რომ ცოტა ვიცი მაშინ ევცდები და იმას მივაღწევ, რომ მეტი ვიყოლე. მაგრამ თუ ადამიანი დაიწყებს ლაპარაკს, მე კომუნისტი ვარ და ჩემთვის არც საჭიროა რაიმე მტკიცე ვიყოდეო, მისგან არაფერი კომუნისტის მსგავსი არ გამოვა“.

მკვებარებსა და სწავლას ზარმაცებს ვერ იტანდა ილიჩი, არა მარტო იმიტომ, რომ ისინი თავისებურ ანტიპათიას იწვევდნენ მასში, არამედ უფრო იმიტომ, რომ ისინი ქვეყნისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის მხოლოდ ზიანის მომტანი იყვნენ.

ბრძენმა ლენინმა მაშინვე აუღო ალლო საბჭოთა ახალგაზრდობას, იცოდა რა მისი ჯანსაღი სულის კვებება, ხედავდა აგრეთვე მის ახალგაზრდულ თავბრუდახვევასაც ზოგჯერ, ამიტომ ყველას მართა წოდა შეგნებული დისციპლინის აუცილებელი ათვისებისაკენ თვით ბეჭდობის წლებიდანვე.

„საჭიროა, რომ ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი ნორჩობის წლებიდანვე, თორმეტი წლიდანვე, ყველას ზრდიდეს შეგნებული და დისციპლინირებული შრომით“.

პიონერებო! თითქმის ყველა თქვენგანის საერთო სურვილია, რომ თქვენს რაზმს ან რგოლს უწოდოთ ილიჩის საპატრო სახელი. ეს კარგი სურვილია, მაგრამ მთავარი არ უნდა დაივიწყოთ, არ უნდა დაივიწყოთ, რომ ილიჩის სახელის ტარება შეუძლია მხოლოდ იმ რაზმსა და იმ რგოლს, რომელიც ისეთია, როგორც ილიჩის მოსწონდა, ე. ი. არის წარჩინებული სწავლაში, სანიმუშოა დისციპლინით და არ ჩამორჩება რა ახალი ცხოვრების ყოველდღიურობას, თავისი პატარა წველილი შეაქვს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

მიალწეით აშის და ამაყად ატარეთ ლენინელების საამაყო სახელი!

გმირი კახახიძე

გმირი



მის გარშემო ცეცხლი იყო, ყუმბარები ხეებს გლეჯდნენ, მრისხანებით ცეცხლის წვიმაც მოდიოდა ციდან ბეგრჯერ.

ქრიადა ქარი საოცარი, ფრთას სიკვდილი მიწის სცემდა, ბოლოს თალხში გახვეული დადიოდა შავად სედა.

ხე იწოდა, ქვა დნებოდა, მხოლოდ გმირი არ იწოდა, მას სამშობლო ამგარებდა და ბელადის სიბრძნის ცოდნა.

სიმართლისთვის გმირს პერანგი ფოლადის და რკინის ცეცა, ცეცხლში იყო, არ იწოდა, დაქრეს, მაინც არ დაეცა.

წინ გარბოდა, ამხნევედა შეძახილით მრავალ მეზრძოლს... ბობოქარმა მტრის გატეხვა შეტევით და ტყვიით შესძლო.

მზეს ნათელი მიუმატა, დაუღწეა სიკვდილს ფრთები და ბედნიერ სამშობლოში შემოვიდა ის ღიღებთი.

ქართული ხალხის დიდი პედაგოგი

ამა წლის ოქტომბერში ასი წელი შესრულდა დიდი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან.

იაკობ გოგებაშვილი არა მარტო გამოჩენილი პედაგოგი იყო, არამედ ნიჭიერი პუბლიცისტი, საუკეთესო საბავშვო მწერალიც, შეუღარებელი სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორი, მშობლიური კულტურისა, დედანისა და სახალხო განათლების დაუღალავი დამცველი.

იაკობ სიმონის-ძე გოგებაშვილი დაიბადა გორის მაზრაში, სოფელ ვარიანში, ღარიბი მღვდლის ოჯახში. 8 წლის რომ შეიქნა, მამამ ის შეიყვანა გორის სასულიერო სასწავლებელში. ცოტა ხნის შემდეგ იაკობი გადაყვანილ იქნა თბილისის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც წარჩინებით დამთავრა და შევიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. სემინარია იაკობმა დაამთავრა 1861 წელს. როგორც საუკეთესო კურსდამთავრებული, ის ჩარიცხულ იქნა კიევის სასულიერო აკადემიაში სასწავლებლად მივლინებულთა სიაში.

იაკობი დაბადებიდანვე ფიზიკურად სუსტი იყო, ამიტომ ექიმმა ურჩია ხელი აეღო აკადემიაში სწავლის გაგრძელებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ორგანიზმი ვერ აიტანდა რუსეთის ცივ ჰაერს და იგი საფრთხეში ჩააგდებდა თავისი სიცოცხლის საკითხს. იაკობმა არ დაუჯერა ექიმის რჩევას და გამოცდები მაინც ჩააბარა აკადემიაში.

მას იმ პერიოდში მოუხდა აკადემიაში მეცადინეობა, როდესაც რუსეთში რევოლუციურ-ნაროდნიკული მოძრაობა ფრთხვად შლიდა, როდესაც ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ვრცელდებოდა ინტელიგენციის ფართე მასებში. რუსი რევოლუციური ინტელიგენტების: ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვისა და სხვათა სახელები მეტად მიმზიდველი და საყვარელი შეიქნა რევოლუციურად განწყობილი სტუდენტებისა და ხალხისათვის.

ბუნებრივია, რომ მეფის რუსეთის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობა გავლენას მოახდენდა იაკობის მსოფლმხედველობაზე და მის მომავალ მოღვაწეობაზე.

იგი გატაცებით კითხულობს ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვისა და სხვათა თხზულებებს, ღრმად სწავლობს ევროპისა და რუსეთის გამოჩენილი პედაგოგების: კომენსკის, რუსოს, პესტალოცის, დისტერვეგის, პიროგოვის, უშინსკისა და სხვათა მოძღვრებებს, დაინტერესებით უსმენს კიევის უნივერსიტეტის პროგრესიულად მოაზროვნე პროფესორების — ბუნებისმეტყველების ლექციებს, საფუძვლიანად სწავლობს დიდი ბუნებისმეტყველის დარვინის მოძღვრებას, იუფულება ისტორიას, გეოგრაფიას, ლინგვისტიკას და საერთოდ სერიოზულად ეცნობა მეცნიერების ყველა დარგს.

ის ძალიან ბევრს კითხულობდა ევროპისა და რუსეთის გამოჩენილი მწერლების ნაწარმოებთ, კარგად იცნობდა საბავშვო ლიტერატურას, ამიტომაც შეიქნა იგი ფართე განათლების ადამიანი და პედაგოგიური მეცნიერების შესანიშნავი მცოდნე.

იაკობის ჯანმრთელობა თანდათან ირყეოდა. მესამე კურსზე რომ გადავიდა, ის იძულებული შეიქნა მიეტოვებინა აკადემიაში სწავლა და დაბრუნებულიყო კავკასიაში.

სამშობლოში დაბრუნებისას პირველად ის დანიშნეს ვლადიკავკაის (ახლანდელი ორჯონიკიძე) სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად, მაგრამ სასწავლებლის დახურვის გამო იქ ფაქტიურად არ უმსახურია. ამის შემდეგ მას ნიშნავენ თბილისის სასულიერო სასწავლებელში არითმეტიკისა და გეოგრაფიის მასწავლებლად.

იაკობი, როგორც საუკეთესო და გულისხმიერი მასწავლებელი, მამობრივი ზრუნვის გამო ძლიერ შეიყვარეს მოწაფეებმა და დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ.



1868 წელს ის არჩეულ იქნა თბილისის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად. ამ დროს თბილისის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეები (სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ) აუტანელ პირობებში იმყოფებოდნენ, როგორც სწავლა-აღზრდის მხრივ, ისე მატერიალურადაც. მოსწავლეებს ტივინ უხმობდნენ აუხსნელი და უზნაო გაცემებდნენ დაზვიერებით. ყველა საგანს ასწავლიდნენ მითთვის გაუგებარ რუსულ ენაზე. სწავლის ყოველგვარ ხალისს, ინიციატივასა და შემოქმედებით უნარს ახშობდნენ უხერხოდ და მეტროსამე მასწავლებლები. იაკობი ამ მასწავლებლებს მასწავლებლებს უწოდებდა.

გამართლებელი პოლიტიკა მეტად მახინჯ ფორმებსღებდა. საქართველოში „განათლების შესწავლად“ დანიშნული ჩინოვნიკები: იანოვსკები, ვოსტროვოვები, ვილაქ ნაოიევიები თხზავდნენ „სწავლა-აღზრდის“ გეგმებს, კრძალავდნენ დედანაზე სწავლებას სკოლებში. მეფის მთავრობა მიიწირაფოდა ჩაებში ნაციონალური კულტურა, ატარებდა ანარქისტთა ძალდატანებით გარუსების პოლიტიკას.

ასეთი მდგომარეობა იყო იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობის დროს. მას არ შეეძლო ამ მდგომარეობისათვის გულზე ხელდაკრეფობის ექცირა. ის ილიასთან და აკაკისთან ერთად დაუფიქროლად ილაშქრებს მეფის პოლიტიკის წინააღმდეგ, ააშკარავებს და აცამტკერებს თვითმპყრობელობის ყურმოჭრილი მონების „განათლების“ შესწავლების მიერ შეთხზულ საღმრთოლო—სავანანათლებო მახინჯ გეგმებს. იაკობი შეიქნა მეფისათვის საშინო ადამიანი და ამიტომაც ყოველმხრივ შეეცადნენ მის თავიდან მოშორებას. მას ცილის სწამებენ და მესამე კატეგორიით ითხოვენ სასულიერო სასწავლებლიდან, ე. ი. ართმევენ პედაგოგიური მოღვაწეობის უფლებას. ის იმდენად აიძულეს, რომ თავის დაბრჯობა

განიზრახა. შემთხვევით გადააჩინეს. მოუხდინა ამისა, იაკობი მაინც ვერ გადაიბირეს შეფის სამრეკამბა.

იაკობ გოგებაშვილი დაქინებით მუშაობდა მეცნიერულად ამტკიცებდა, რომ სწავლება სახალხო სკოლებში უნდა ყოფილიყო ბავშვთათვის გასაგებ მშობლიურ ენაზე, დედაენაზე. იაკობი სამართლიანად ამტკიცებდა, რომ დედაენა სულია სკოლისა, დედაენის გაძევება სკოლიდან, სკოლის სიკვდილი უდრიოა.

იაკობი არ უარყოფდა დიდი რუსი ხალხის ენის სწავლას, პირიქით, მას რუსული ენა მიაჩნდა უაღრესად კულტურულ, მდიდარ და საჭირო ენად. მაგრამ რუსული ენის შესწავლა უნდა ეფუძნებოდა ქართული ენის ღრმად დაუფლებად.

იაკობი მოითხოვდა რაც შეიძლება მეტი სახალხო სკოლები გახსნილიყო, რათა ხალხში შეეტანათ ელემენტარული ცოდნა და განათლება. იგი ენერჯის არ იშურებდა, რათა სკოლებს პულოდა მკოდნე, ნერჯიული, სამშობლოსათვის თავდადებული, ზნეობიერი, ბავშვების მოყვარული მასწავლებლები. იაკობი ზრუნავდა, რათა სკოლები უზრუნველყოთ მატერიალურად, სასკოლო ნივრებით და კარგი შენობებით, პედაგოგურად და მეთოდურად გამართული სასწავლო-საღმრთდლო გეგმებით, ცხრილებით, კარგი სახელმძღვანელოებით. იაკობი პირადად და კალმით, რჩევა-დარიგებებს აძლევდა მასწავლებლებს პედაგოგიურ-მეთოდური მუშაობის გასაუმჯობესებლად.

იაკობ გოგებაშვილმა თავის ღრმა ცოდნა, დიდი პედაგოგიური განათლება და მდიდარი გამოცდილება მოახმარა სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნას მშობლიურ ენაზე.

იაკობ გოგებაშვილი ქეშმარიტად ემსახურა ქართველ ხალხს. ბრძოლაში ფიზიკურად დასუსტებული და ნებისყოფით შეურყეველი გარდაიცვალა იგი 1912 წელს. ქართველმა ხალხმა ის დიდი პატივისცემით მიიბარა თავის სამშობლო მიწას.

სასწავლო ნიშნი

სანრიო ქაიხვი

რამდენჯერ გამბრწყინებია თვალები „დედა-ენითა“,
გადამიფურცლავს, აღვსილვარ ბავშვური აღმაფრენითა.
გაფუტცივარ სურათებს შორს, საოცნებო მხარეში...
რამდენჯერ დამისიზმრებია წიგნის ფურცლებში თარეში.
ასე მგონია, ბალღივით ახლაც მერხზედა ვზვიარო...

მესმის და ისევ მახარებს:
„ირემო, მთასა მყვირალო“...
ან კიდევ საღმე ბლჩაში ვაშლს შეეცქერივარ შაქარა, ცალ მხარზე ჩანთა მკიდია ბუჯისოს, ცელქსა და პატარას.
დაშაქრებული მტკვნები თითქოს მიწვევენ ვაზიდან,

ბების ხმა მესმის: „ჰაოუ“ და „აფრინდა ქორო, აფრინდა“...
და სიტკბოება პირველ დღის მნიბლავს ფიჭვებით ავსილსა, ახლაც კი მესმის წკრილი: „ვაზის ქირიმე, ვაზისა“...
რამდენჯერ გამბრწყინებია თვალები „დედა-ენითა“...
ბუღბუღივით ამღერებულა ჩემ ხმასთან აღმაფრენითა.

ღ ი ლ ა

ვარდს გაეფურსქნა კოკორი,
გადაჭხევეოდა იასა,
სამშახსაც გაღვიებოდა
და თავს უბრიდა ნივსა.



ტაროდა მღვალა-ღრუბლებში
წვრილ-წვრილია კვლითა,
ბუღბუღავს განსაყუდი
სეხის ხსით ვისს ამოიდა.

„...ჭეველი, ტურფ ჭაბახუ,
თხისუ, ქართუელი მხარეა,
და მქნც, ქართუელი, სწავლითა
სამშობლო კახურია“.



კურდღელი

კურდღელი სცხოვრობს ვარდ, ტყესა და მინდორში, ასეც კომ
ვარგული ცხოველი, ანუ ნადარი ჭქეიან. ტანი კურდღელს
ჭეველივით ვრცელი აქვს. მისი წინა ტანი უფრო მსხვილია,
უკანა ტანი უფრო წვრილი წინა ფეხები მოკლე აქვს, უკანა
ფეხები ვრცელია, უფრო ვრცელი და აცქვეტილი აქვს კურ-

„ღდა-ენის“ მართალი გვიადი.
ის ლექსი „ღილა“ დაწერა ახალგაზრდა ი. სტალინმა.

„ეკვლას სკოლას, განსაკუთრებით სსახლსო, დედა-ენასედა უნდა იეოს დაფუ-
ძნებუელი; დედა-ენით უნდა სსზრდოებდეს, მით უნდა ვითარდებოდეს, მით უნდა
საზრობდეს. დედა-ენა სუელია სკოლისა“.

ი. გომეგაგვილი.

ლილი სისხარული

იშვიათად შეიძლება მოიპოვებოდეს სადმე ისეთი პოპულარული და საყვარელი სახელმძღვანელო, როგორც არის იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენა“. „დედა-ენამ“ უდიდესი მასშაბური გაუწია ქართველი ხალხს მორატი თაობის საღ პედაგოგიურსა და ეროვნულ ნიადაგზე აღზრდის საქმეს. თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე არა ერთი და არც თოთხა აღზრდილია „დედა-ენაზე“, არა ერთსა და არც თოთხას შეუწავლია წერა-კითხვა, შეუფარებია მშობლიური ენა და გასცნობია ხალხის ლინისა და ქირ - ვაჩაშ ამ საუკეთესო სახელმძღვანელოს საშუალებით.

იმ დროს, როდესაც ქართველი ერი განიცდიდა ჩაგვრას მეფის რუსეთის ხელში, როდესაც გვიგინებდნენ ენას, ცდილობდნენ ხალხის გადაგვარებას, იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენა“ გუმზავდ ედგა ქართველი ხალხის ეროვნულ თვითშეგნებას, იგი წერგავდა ქართველ ახალგაზრდობაში მშრომელი ხალხის სიყვარულს, საშობოძლოსათვის თავდადების გრძნობას, ჩვენი ერის გმირული წარსულის პატივისცემას; „დედა-ენამ“ განსაკუთრებული სიყვარულით დაინახებრა ქართველ ხალხში.

რით იტყვის ასეთ ყურადღებას ეს სახელმძღვანელო? მით, რომ იგი არჩეულელებრივ სიყვარულით, საქმის ღრმა ცოდნით და ბავშვების თავისებულებათა გათვალისწინებით შეადგინა იაკობ გოგებაშვილმა.

ამ სახელმძღვანელოს ორიგინალიბა კიდევ იმაში გამოიხატება, რომ მასში მოთავსებული მასალის ნახევარზე მეტი თითქმის მთლიანად ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს წარმოადგენს და ეს ნიმუშები ისე მოხდენილად არის შერჩეული; რომ წიგნს მეტად მიმზიდველს ხდის როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივით. გარდა ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალისა, წიგნში თვით იაკობ გოგებაშვილის მიერ შეთხზული ორიგინალური მოთხრობებიც შედის. ორიგინალურ მოთხრობებს გარდა მის მიერვე გადმოცემული - გადმოთარგნული მოთხრობებიც მრავლად არის სახელმძღვანელოში. „დედა-ენაში“ აგრეთვე მრავლად გვხვდებოდა საბუნებისმეტყველო, გეოგრაფიული და ისტორიული შინაარსის ნაწარმოებები, სასაუბრო და საპასუხოები. ესენიც ყველა იაკობის მიერ არის დაწერილი, ხოლო ლექსები კი გვითხვინს ქართველი მხატვრული სიტყვის ისეთ თავტატებს, როგორიც არიან აკაკი წერეთელი, ვაჟა - ფშაველა, რაფიელ ერისთავი, შოა მღვმელი ცახელი, იოსებ დავითაშვილი და სხვ.

საერთოდ „დედა-ენა“ უაღრესად ხალხური სახელმძღვანელოა, როგორც შინაარსით, ისე ფორმით. ამიტომაც იყო იგი ნორჩი თაობისათვის მეტად მიმზიდველი, ადვილად შესათვისებელი; ერთხელ წაითხული თუ მოსმენილი მოთხრობები, ლექსები, არაკები და ზღაპრები ბავშვს სამუდამოდ ემეცდებოდა მესტიეობაში, ერთი-ორი მოსმენისა თუ წაკითხვის შემდეგ ზეპირად იცოდა ყველა. „დედა-ენა“ ზეპირად იცოდნენ არათუ ბავშვებმა, არამედ ბავშვა მშობლებმაც, მოზრდილებმაც, საერთოდ მთელმა ქართველმა ხალხმა. ისეთი მიმზიდველი იყო ეს სახელმძღვანელო.

„დედა - ენა“ პირველად ამ სახელწოდებით გამოვიდა 1876 წელს. იგი შედგებოდა ორი ნაწილისაგან, პირველ ნაწილში მოთავსებული იყო საანბანო, წერა - კითხვის შესასწავლი მასალები, მეორე ნაწილი კი შეიცავდა ანბანის შემდეგ საკითხავ მოთხრობებს, ლექსებს, იკვარაკებს, სასაუბრო და საპასუხო მასალებს. ორივე ნაწილი ერთ წიგნად გამოვიდა 1907 წლამდის, 1907 წელს იაკობმა „დედა - ენა“ პირველ ნაწილად: პირველ ნაწილში მოთავსა ანბანი, ხოლო მეორეში - ანბანის შემდეგ საკითხავი მასალები.

„დედა - ენის“ პირველი ნაწილი 1925 წლამდე გამოვიდა, გამოიკა 45-ჯერ 1.300.000 კაღის რაოდენობით; მეორე ნაწილი „დედა - ენისა“ 1920 წლამდე გამოვიდა, გამოვიდა 36-ჯერ, 670.000 კაღის რაოდენობით. თუ შევხედვით მათში მივლილებ ქართული სკოლების მანძილდე სიმკიცეს, სახელმძღვანელოს ეს ტორაგი მეტად დიდიც კი არის.

„დედა-ენის“ საანბანო ნაწილი ანალიზურ - სინთეზურ, ანუ სიტყვის დაშლა - შეერთების პრინციპზე აგებული. იაკობი იღებს წინადადებას, მას შლის სიტყვებად, სიტყვებს - მარცვლებად და ბგერებად. შემდეგ მარცვლებსა და ბგერებს შეერთების ნიადაგზე ადგენს სიტყვებსა და წინადადებებს და ასე შესასწავლის ბავშვებს წერა - კითხვას. მეორე ნაწილი „დედა - ენისა“ კითხვისა მეტად ეფუძება ჩვენი ენის ბუნებას, რადგან ქართულ ენაში ყოველ სამეტყველო ბგერას თავისი ნიშანი, ასო მოეპოება.

ცრუმეცნიერებმა და მემარცვნებ პედაგოგებმა იაკობის „დედა - ენის“ შემდეგ მრავალჯერ უარყვეს ანალიზურ-სინთეზური მეთოდი ანბანის შესწავლაში და შემოიღეს მთლიანი სიტყვის მეთოდი ევროპული ენების (ფრანგულის, ინგლისურის) მიხედვით, მაგრამ ბოლოს მაინც მისმა მეთოდმა გაიმარჯვა და დღეს ჩვენი ანბანი ისევ ამ მეთოდით ისწავლება.

ანბანის შემდეგ საკითხავ მასალებში, როგორც აღვნიშნეთ, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები მოხდენილად არის გამოყენებული. ანდაზებს ავტორი ხშირბებს მოთხრობებში გამოთქმული აზრების დასასაბუთებლად, ამ აზრებისათვის დამაჯერებლობის მისაცემად და ბავშვის ენობრივებაში ღრმად ჩასახებლად. მაგალითად, მოთხრობაში „ქურდი და მამალი“: სტუმარმა მასპინძელს მამალი მოპარა და ჩოხის კალთაში დანახა, მასპინძელს ეუბნებოდა არ მომიპარავსო, მაგრამ მამალს ბოლო მოუქანდა. ამაზე მასპინძელი ქართული ანდაზით უპასუხებს: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირებსო“.

„დედა-ენა“ ამავე დროს სასიამოვნო საკითხავი წიგნია, რომელიც შეიცავს განსაკუთრებულად მაღალ-შნატრულ და იდეურ ნაწარმოებებს, რომლებიც ბევრ სასარგებლო ცოდნას აძლევდა ახალგაზრდობის და აღმწრავდა ფაქტ გრძნობებს სამშობლის სიყვარულისას, კაცთმოყვარეობისას, სიმართლის პატივისცემის და სიყვარლის, ყოველდღიური სიმზინების სიძულვილს.

ღერა და შვილები

„ბუნების კარი“

საბუნებისმეტყველო

ან. თავზაძე

—უფრო მეტად ვის უყვარსარო, ვინ გუფნთ, შეილწო, გუულს სიამეს, ვინ ატარებს თქვენს სწრუნებაში მოუსვენრად დღეს და ღამეს?

—ღერა ჩვენი საყვარელი.

ვინ მოკითხრობთ ღამით სღანრებს, ვინ დაგმღერით ტკბილად ხანას, ვინ გავგდრებთ გულმსურვალედ მღლბა ცას და შირს ქვეყანას?

—ღერა ტკბილი, სხანტრელი.

—ვინც თქვენგანი მუდამ ცელოებს, დაუგდროძობს და არ სწავლობს, ცრემლებს ვინ ღვრის, ვინ წუხს თქვენთვის, ვინ ფიქრობს და ვინა წვალობს? —ისევ ღერა სასურველი.

მცხვსის ხე

შაქრო სამაღაპვილი

(გუბღინი იაკობ გოგებაშვილს)

გზის ამწუნებს მწანე ხე ნუშის, ცეუშ მითუქ მწანედ მუქი ჩრდილაში, ცეღნეღმთ მისარეს, ჩანჩინდის გულში, მისიაცარგულე შეიღონილაში.

ეს საგესთო ხე რთეს დაბჭობ საბურისგანდ მისხრალმა ჩელში, მავნეი ვიყავი, რთმ მითხარა: „გაბჭობ, ნენ ამის ნაცთეს დაიჭირ სელში.

სეს ვებგავ და მჯარეს მთავრებენი მავნეშს, რთმეღინდ მასმარეს მუღამ. დაგვთვრთ მალა... მწარედ ვღმრეღმბი, რთმ ჯანი ვგბრ დაბოულურბი!“

მან ხე აცდესლა, თითონ ვი მავლე განთოლთხტა სიღმრთეს მწანედ, ვენეცით სუქავადა უცესლთ თვალუშს და თითრ ჩაღარბით სინანულს მღადა.

ჩანსულში ნახა ცანჯავა და გლთავა, მისმინდნეულ მზთმით აცარა დრთინა, ჩაიღთ ქლუში, ჩვენ დაგვიღლთვა ხე და ნაცთავით დასხრალი რტინა.

უჯავადე დარჩა იმისა საქმი, მისა მარჯუნდ უჯავადე მრუშა. მაცღმრეს მითხრეს, მის სუქავა სსესეს ამ სის ცთულა ამბიალაში.

რამდენი ტკბილი მოგონებაა მათ გულში, ვისაც ეს უწყველია დიდი პედაგოგის—იაკობ გოგებაშვილის „ღერა-ენა“ და „ბუნების კარი“.

„ბუნების კარი“ მართლაც რამე კარია ბუნებისა. გააღებ ამ კარს, ე. ი. შეისწავლი „ბუნების კარს“, და დინახებ მთელ ქვეყნიერებას. დინახებ ბუნებას მთელი თავისი სასარგებლო თვისებებით, გაიცნობ ადამიანებს თავისი წინგველურებებით, შეისწავლი ჩვეს წარსულს, გმირობითა და თავგანწირული ბრძოლებით სავსეს, შეიგრძნობ აწმყოს მთელი თავისი მიზნებითა და მისრულებებით, დინახებ მთელ კაცობრიობას თავისი მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნებით,—ერთი სიტყვით, ისწავლი ყველაფერს, შეიარაღდები ყველაზე ბასრად იარაღით—ცოდნით. ამ კარებთან დაგვეფრევე მზის უხვი სხივები, გაგინათებს სულს, გულს, გონებას.

მრავალი ათეული წლის განმავლობაში ასხივონებდა „ბუნების კარი“ ქართველ მოსწავლეს ახალგაზრდობას. არა ერთი და ორი სასახელი ადამიანი აღზრდილა ამ მადლიან სახელმძღვანელოზე, არა ერთსა და ორ ქართველ ახალგაზრდას უსწავლია მისგან სიყვარული ცოდნისა და ბრძოლისა სამშობლო ქვეყნის, მშრომელი ხალხის საყეთოდლოდ.

„ბუნების კარი“ ნამდვილი ენციკლოპედიაა, რომელშიაც თავმოყრილია ადამიანთა ცოდნის თითქმის ყველა დარგი. რა საკითხი გინდათ, რომ „ბუნების კარში“ არ იყოს: ბუნების-მეტყველება, ლიტერატურა, გეოგრაფია, ისტორია და სხვა მრავალი. იგი შედგენილია დიდი ნიჭითა და სიყვარულით, ნამდვილი პედაგოგიური და აღმზრდელიობით თვალთაშობით. მასალები დალაგებულია კონცენტრულად, ჯერ უფრო შარტივი, შემდეგ ცოტათი რთული, რომ მიხვდა თანდათანობით შეისისხლბოარცო ნორჩმა მკითხველმა. რომელიმე საბუნების-მეტყველო, გეოგრაფიულ თუ ისტორიულ თხრობას თან მოსდევს ქართველი გამოჩენილი მწერლის ლექსი ან ნაწევრი პოემისა, რითაც მოსწავლე ადვილად შეიმჩნებს რაღურ სინამდვილესა და მხატვრულ ლიტერატურას შორის არსებულ კავშირს, ეჩვევა სინამდვილის მხატვრულ ათვისებას.

„ბუნების კარი“ შედგება უმთავრესად ზუსტი განყოფილებისაგან: საბუნებისმეტყველო, სალიტერატურა, საქართველოს გეოგრაფია, საქართველოს ისტორია და, ბოლოს, კაცობრიობა. ამ უკანასკნელში მოცემულია მთლიანობის სხვადასხვა ქვეყნები და ხალხები თავისი კულტურული თუ გეოგრაფიული ავლადილებით. უმთავრესი ნაწილი მიანიჭ ბუნებისმეტყველებას აქვს დათმობილი. ამას განაჩინა ჩადის მდებრივი პედაგოგი, მისი აზრით, ყდაწინაურებულს, განათლებულს ქვეყნებში კარავდა აქვთ შეგნებულნი, რომ ბუნების ცოდნა და მისი ძალთა დამოუკიდებელი შეადგენს ერთს უმთავრეს ელემენტს რიონსა და კაცობრიობის მდგრადიებებისა“ (ი. გოგებაშვილი, „ბუნების კარის“ წინასიტყვაობა).

ამ ნაწილში ყველაზე უფრო საქართველოს ბუნებას წარმოადგენილი, რადგან, როგორც ი. გოგებაშვილი ამბობს, „საქართველოს ბუნება ისეთი მდიდარია და მრავალფეროვანია, რომ ევროპის ბუნება მასთან წარუტყდად არ მოვა. მაგრამ ჩვენ ამ მდიდარი ბუნებისა არაფერი ვაგვეგებოდა უკლმარბით აღზრდის წყალობით“. („ბუნების კარის“ წინასიტყვაობა).

რა თქმა უნდა, არც სხვა განყოფილებებმა მასალათა სიუხვით ნაკლები. ლიტერატურულ განყოფილებას ვრცელი ადგილი უჭირავს. იქ უხვადია წარმოდგენილი გამოჩენილი ქართველი მწერლების ლექსები, მოთხრობები, პოემები და სხვა, აგრეთვე ხალხური პოეზიის შესანიშნავი ნიმუშები.

გეოგრაფიული განყოფილება სამკაოდ იძლევა გარკვეულ ცოდნას საქართველოს გეოგრაფიისაში. საისტორიო განყოფილება კი ნამდვილი „ქართლის ცხოვრება“, ბავშვებისათვის დაწერილი.



სსსკედი

(დასასრული *)

* *

გავიდა ხანი, მილიციამ კვლევა-ძიებების შემდეგ გამოარაკვია, რომ ტუთი დაფარულ ხეობაში უტყნობდას ოქროს მადნისთვის მიეგნოთ, დაემუშავენინათ და იღუმლად გაეტანათ ოქრო. ბოლოს, როდესაც ელანისძის ექსპედიციამ მოინდომა იმ ხეობის სიმდიდრის გამოკვლევა, სროლა ატეხეს, ერთი მათგანი მოჰკლეს, ერთი დაჭრეს და დაწვეს ის ადგილები, საიდანაც ოქრო ამოჰქონდათ, ქალაქს მიაშურეს და უკვლოდ გაქრნენ. არავინ იცოდა მათი ვინაობა, ზოგი ამბობდა რუსები ყოფილანი, ზოგიც — უცხოელებიც ერიათო. ერთ გლეხს მოეტანა ამბავი:

— ერთი შვილი მყავდა, მთელი ოჯახი მისი ანაბარა იყო, გვარი იმით ამყობდა. ერთ საღამოს ვიღაცა გვეტტურა, ჩემი შვილი ვაინბო, დიდხანს რალაცაზე ლაპარაკობდნენ, დაიყოლია ჩემი შვილი: საგზალს უგზავნიდა, მთავრობის ხალხნი ვართო, ამბობდნენ და აი... წასვლის დროს დამოუტეს... მოჰკლეს ჩემი შვილი... რა დავაშავეთ ან მთავრობის წინაშე, ან ხალხის წინაშე, რა დავაშავეთ, რა... — ამბობდა თურმე მოხუცებული გლეხი.

ერთი სიტყვით, არავინ იცოდა მათი ვინაობა. ერთადერთი გოგი იყო ამ ამბის მოწმე — გოგომ იცოდა, რომ იმ ბნელ ხალხთან მისი მამა, ლეო, იყო ამ ამბის მონაწილე. მაგრამ დედას იმდენად დაეყოლებინა ვე, იმდენად მოეხიბლა, მოეტკბო, რომ გოგის გადაწყვეტა საშუალოდ დიდფარა საიდუმლო. თანაც მოსკოვიდან დაბრუნებულ ლეოს პირობა მიეცა გოგისთვის, იმ ხალხს არასოდეს გავეკარებო და დაეკრებინა, ყველანი დაბატონებულნი არიანო, პატივბათობოვა შვილისათვის. გოგი დასთანხმებოდა მშობლებს, მაგრამ ბოლოს კი...

* *

დადგა შემოდგომის ცქიოტი ღლეები. აცივდა მთაში. ლეომ ოჯახი ქალაქში ჩამოიყვანა. გოგომ სწავლა განაგრძო, ახალმა ამბებმა, ქალაქის სანახაობამ და ანაბარებთან შეხედრამ გდადარწყეს გოგის სოფლის ამბები. ხანდახან თუ დაუიჭრდებოდა, მამას დააკვირდებოდა, უსიამოს რასმეს ივრძნობდა, გული მაგრად შეეკუმშებოდა, — შესძულ-

დებოდა მამა, იღუმალი ზრახვებით რომ იყო მოცული, მაგრამ შეეცდებოდა არავის შეემჩნია მისთვის გულისწყრომა. იღუმლად აღევნებოდა თვალუქრის მამას.

ასევე იქცეოდა ლეოც: მან იცოდა, რომ გოგის ყველაფერი გაგებული ჰქონდა, იცოდა, რომ გოგი უნდობლად უმზერდა და ამიტომაც ყოველ წუთს შიშით ჰქონდა შვილისა, თავდაპირველად იქცეოდა. იშვითად იგვიანებდა სხვაგან, უტყნობ ხალხს ერიდებოდა — იღუმალი მეგობრობა ჰქონდა საიდუმლო ხალხთან; სძულდებოდა შვილი, ეწადა ჩამოშორებოდა ოჯახს, მაგრამ ალარ დასცალდა.

ერთხელ გოგი ამხანაგებთან ერთად ბრუნდებოდა სკოლიდან. ქერა ყმაწვილი — შალვა ბურდული მოჰყვებოდა გვერდზე. — ყვითელ ფოთლებს ეთამაშებოდნენ, ფერშეცვლილ ხეებს რომ სტაცებდა ომლად შემოჭრილი ქარი და აქა-იქ ათამაშებდა გზადაბნეულობით.

შალვა და გოგი ერთი მეორეს ეკვირბოდნენ: ხან ჰაერშივე იტყრდნენ აფრიანებულ ფოთლებს, ხან მიწაზე დაცემულს დასდევდნენ უკან, იცინოდნენ, ერთი-მეორეს ეტოტებოდნენ. ამ ყოფით შევიდნენ ელბაქისის დაღმართზე პატარა ბაღში. ფოთლებთან თამაში ეწადათ კვლავ.

ბაღში შევლის უმაღლესად გოგის გაცემული მიაშტერდა ხის ქვეშ მჯდომ კაცს, ფიქრებში წასული რომ მისჩერებოდა მიწაზე დაცემილ გამხმარ ფოთლებს, მაგრამ ივრძნო თუ არა ბავშვების მიახლოება და გაცემული გოგი დაინახა, თავდაც შეტრია, სწრაფი მზერა ესროლა გოგის, შემოტრიალდა ზურგით მისკენ, — აიცილა ქვერტა, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ დინჯად წამოდგა, მიძიე ნაბიჯით გაემართა ქუჩისკენ.

გამჭირებული იდგა გოგი:
— ის! ის! — ამბობდა თავისთვის და თვალს არ აშორებდა უტყნობს.

შალვა ვერ მიხვდაროყო გოგის საქციელს, ხელი აწაჭრა, გაუტყნა.

— ის კაცი დაიხსომე! — ამოიძიხა გოგომ, შალვას უტყნობზე მიუთითა და სწრაფად გაშორდა: უტყნობს გამოეკიდა უკან, მაგრამ არ იცოდა რა უნდა გაეკეთებინა... შალვა ერთხანს უმზერდა ხან გოგის, ხან უტყნობს, ხოლო შემდეგ გოგის მიჰყვა უკან...

*) იხ. „პიონერი“ № 9.

უცნობი წამით შედგებოდა—უკან მოხედვად და სწრაფად განაგრძობდა სვლას: მან იცნო გოგი. იცოდა, რომ იგი ლეოს შვილი იყო, იცოდა ისიც რომ მას მისდევდა უკან, და შეეცადა გზა-კვალნი აებნა გოგისთვის.

სწორედ იმ დროს, როდესაც გოგიმ მახლობლად მდგარი მილიციონერთან მიიჩინა, უცნობი ავტობუსის შეუხტა და სანამ გოგი მილიციონერს რასმე გააფიქრებდა, ავტობუსმა შოთა რუსთაველის გამზირზე გააქროლა იგი.

გოგიმ მილიციონერი ძლივს მიახვედრა საქმის შინაარსს, მაგრამ გვიან იყო—უცნობი ვეღარ დაანახებდა; ნაღვლიანად გამომბრუნდა უკან, შალვისთვის ხმა არ გაუტია. აქ ყოფილანო, —გაიფიქრა თავისთვის და ტყუთ დაფარულ ხეობის თავზე ნახული ჩალისქუდიანი კაცის სახე დაუდგა თვალწინ.

ყმაწვილები ისევ ბალში შევიდნენ, გზა მოკლედ გადაჭრეს, მაგრამ წარმოუჩინეთ გოგის გაცოცხება, როდესაც მამას მოჰკრა თვალი იმ სკამზე მჯდომს წელან რომ უცნობი იჯდა.

—შეშველად ერთიმეორეს უტდიან...—გაიფიქრა გოგი. სიმწარით თავბრუს დაესხა.

კარგა ხანი ათვალიერებდნენ ერთმანეთს მამა-შვილი. ორივეს თვალეში ზიზღი ეხატებოდათ. თითქოს მოისხლუნენ დგანახო ერთიმეორის წინაშე, გოგის იმ წუთს სიკვდილივით ეჩვენებოდა მამა. ხოლო ლეოს ბრაზი მოსდიოდა, რომ შვილი ისეთი მღვრვით უშპერტდა.

— აქ რა გინდა?!—მწყრადად უთხრა მოთმინებიდან გამოსულმა ლემ, სახე წამოუწითლდა, სიმწარემ გაუტეცხლა გული.

— მე კი, მაგრამ შენ...

მკაცრი მზერა ესროლეს ერთიმეორეს.

— რას დაეხტები!—უფრო ხმამაღლა უთხრა ლემი, მაგრამ თავის მთის სიმაღლის შეშინდა: ხალხი გროვდებოდა ხმის ვარშემო. გოგის თვალები სიბრაზით აენთო. უნდოდა ეყვირა, ეყვირა მთელი ხმით, რომ მისი მამა...

მაგრამ ძალამ უღალატა, თანაც გაიფიქრა: სხვანაირად მოეგლო საქმისათვის. თავდახრილი გასცდა მამას, ნაბიჯარული ბარბაცით წავიდა შინსაკენ. შალვა მისდევდა უკან და ეხვეწებოდა: — გამაგებინე, ვინ იყო ის კაცი, ან მამა რად გიწყობოდა?!

გოგი კარგახანს მიდიოდა უბნოდ, ბოლოს მოკლედ უამბო ტყეში ნახული ამბების შესახებ. მხოლოდ მამაზე არაფერი უთქვამს.

გოგის ნაამბობმა ჩააფიქრა შალვა, დუმილით გაჰყვა აზნანავს, თანაც არ დაენდო: მამა-შვილს შორის წაყამათებამ ექვეები აღუძრა, მაგრამ არა-

ფერი შეიშინა, მხოლოდ ეს უთხრა გოგის: — ეს ამბავი დღესვე უნდა ვაცნობო შენს ბუკემს.

გოგი შეკრთა, შეანულა სიარული: დღეს განაგრძობდა.

— სამშობლოს... ეს ხომ ჩვენი საყვარელი სამშობლოსათვის ღალატია...—ამბობდა შალვა და მაგრად უტერდა ხელს გოგის მარჯვენა ხელზე.

— ჩვენი მოვალეობა სიფრთხილეა და... რასა ვშვრებით...

— იცის მილიციამ ეს ამბავი...

— იციან, რომ ტფილისშია ეს ხალხი?

— რა თქმა უნდა, — იცრუა გოგი.

— უნდა იცოდნენ აუცილებლად.

— კი უნდა იცოდნენ, მაგრამ—დაიბნა გოგი: დედის ნაღვლიანი სახე დაუდგა თვალწინ და მისი შავი თვალებიდან ამოიკითხა: „ნუ! ნუ, შვილო, გოგი!“

— შენ პოლიტიკურად მოდუნებულხარ, — ბრაზობდა შალვა, — ამისთანების დაფარვა გავიგონია?! გოგი შედგა. მძიმედ ამოიხრა.

— იცი რა გითხრა...—ნაღვლიანი ხმით თქვა მან.

დადუმდა ორივე: შალვა სმენად იყო გადატყეული, ხოლო გოგის ენა დადბა.

— ნუ!—შემოესმა დედის იღუმალი ხმა.

ხელი ჩაიქნია გოგიმ და გზა განაგრძო. ზარამაკი ნაბიჯით გაჰყვა შალვა უკან. „რალაცას ფარავს“—ფიქრობდა იგი.

ისევ გოგი შედგა: ნაძალადევი დიმილით მზებდა შალვას. შეუბლზე ჩამოშლილი ქორიორი შესწორა.

— შალვა!—თქვა მან, გაჩუმდა.

შალვა მიუახლოვდა, ხელი დაუჭირა მაგრად.

— რალაცა გაუფუბეს, — ნელი ხმით უთხრა შალვამ და მზერა ააცივინა გოგის.

— ძმად უნდა გამეფიცო...

შალვამ ტკბილად გაიღიმა.

— მთის ჩვეულება ჩამოგყოლია! ძმები არა ვართ? ერთი ორგანიზაციის წევრები ვართ და...

— არა, მე მინდა ძმად გამეფიცო!

— დიდი სიამოვნებით!

გოგიმ ჩანთა გახსნა: ვერცხლის კალმისტარი ამოიღო.

— მეტი არაფერი მაქვს თან... ეს იყოს ნიშანი, დაიქი!

სიხარულით გამოართვა შალვამ.


— მე კი...—თქვა მან.—ჯიბეში ვერცხლის ფული მოქებნა.—ამის მეტი არაფერი მაქვს,—აბაზიანი გაუწოდა.

გაიციენს, ძმობა თქვეს. გაიარეს რამდენიმე ნაბიჯი. შედგა გოგი.

— ერთი თხივანაც ამისრულე!—შეემუდარა შალვას.

— თუ კი შესაძლებელია...

— მე ვიცი... ვიცი, რომ არ...



კვლავ ენა დაება გოგის, თავდახრილი დადგა ძმობლის წინაშე.

— რა გემართება? — გაუწყრა შალვა.

გოგი გაგულისდა: თავს გაუჯავრდა.

— ეს ამბავი საიდუმლოდ უნდა შეინახო...

— კი, მაგრამ...

— სამუდამოდ არა... სულერთია, მითი ვინაობა არაინ იცის, ჩვენ გავგიფრთხილებდებიან.

— გოგი! — ტკბილის ხმით უთხრა შალვამ, ქუჩის ნაპირზე გადაიყვანა. — იცი, ჩვენ რასა ვშვრებთ? იქნება რა მვენებლობას ჩადის ის ხალხი...

— ეცი, მაგრამ... — მამას ვერ ვუღალატებო, — უნდა ეთქვა გოგის, სიტყვა პირში გაუქრა, კვლავ დედის ხმა შემოესმა: „შობელია, შვილო... ნუ დადებუბე ოჯახს“ — ოფლის ნამი დაედვა სახეზე გოგის. მუხლები უდუნდებოდა. ჰაერი ეცოტავებოდა. ძლიერ იმაგრებდა თავს. შალვამ შეამჩნია უხერხულობა.

— კარგი, — თქვა შალვამ. — შენ თხოვნას ვასრულებ, მხოლოდ ერთ პირობით: თვალუფრი უნდა ვადევნო, „იმ კაცს“, იქნება სხვებიც ვინმე იცო მონაწილე? — ეკვიანდ ჩახედა მან დაბინდულ თვალეში გოგის.

გოგის პასუხი არ გაუცია.

— ეს ამბავი ჩვენ უნდა გავხსნათ. — ამბობდა შალვა. — თვითუფრი კომკავშირელი ჩეისტი უნდა იყოს...

გოგინ დაუდასტურა და გადაწყვიტეს: იმ დღიდანვე თვალუფრი ედევნებინათ მოქალაქეთათვის — იქნება სადმე შეხვედროდნენ უცნობს.

შალვა სახლამდე მიჰყვა გოგის. ეზოს წინ გამოემშვიდობა. თავდახრილი აკყვა ქუჩას შინისკენ.

— მგონი, — ფიქრობდა იგი, — ლოს ხელიც ურევია აქ და იმტომ, მაგრამ... სამშობლო... რა მავნებლობას ეწევიან, ვინ იცის... არა, ახლავე წაველ და შევატყობინებ შინსახკომში...

*

გოგინ ზარმაცად აიპრა კიბე. კარებთან შედგა: დეიზარა შინ შესვლა, უსიამოს რასმეს გრძნობდა, დედის ნახვა არ სურდა. კარჯახანს იდგა უქრადვალ, ფეხის ხმამ გამოაფხიზლა. მებრძული ქალი ამოდიოდა კიბეზე. გოგის არ უნდოდა იმ ყოფით ენახათ მეზობლებს. მან შეაღო კარები, კვლავ შედგა. გული არ ურჩევდა შინ ყოფნას. შემკრთალი დედა მიუახლოვდა. თავი დახარა გოგინ. ბაბალეს უფრო მეტად შეეშინდა.

— შვილო! — თქვა მან სუსტი ხმით. მივიდა გოგისთან. შეეხო. შეკრთა გოგი, უკან დაიწია.

— შვილო! — გაიმეორა ბაბალემ, თვალეში ჩახედა გოგის.

გოგი ხმას არ იღებდა, არ იძროდა ადგილიდან, სახე თანდათან უწითლდებოდა. თვალეში ცრემლეებით ეცხებოდა, ძლიერ იკავებდა თავს, გულს ტირილი ეწადა.

— შვილო, რა დაგემართა? რად მაშინებ! დედა გენაცვალის, ნუ ხარ ეგრე! — ეფერებოდა ბაბალე.



— აღარ შემიძლიან მეტის ატანა... ისევ იმათთან... ისევ იმათთან! — თქვა გოგინ დამტკრეული ხმით. ბაბალეს ხელ-ფეხი აუთრთოლდა, წაბარბაცდა ოდნე.

— რა მოხდა. შვილო, გარკვევით მითხარი!

— ყველაფერი მეზობლებმა... — ამბობს გოგი თავისთვის, თითქოს დედის საუბარი არ ესმისო.

— ვერ გავიგე, შვილო! — მოუტკბილა ხმა ბაბალემ.

გოგის ხმა აღარ ამოუღია, თავდახრილი მიუახლოვდა ტახტს, წიგნებიანი ჩანთა წყნარად გადაავლო საწერ მაგიდაზე და პირქვე მიწვა ტახტზე.

ბაბალე ერთხანს ერთ ადგილზე იდგა, აცრემლეული თვალეებით აკვირდებოდა ტახტზე შემოწოლილ შვილს. შემდეგ მიუახლოვდა, დაჯდა მის გვერდზე. მკვდრული სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ მძიმე სუნთქვავა ისმოდა.

— მეშინიან! — უნებურად წამოსცდა ბაბალეს... შეკრთნენ ორივენი.

— დავიღალე შინით... იდუმალეებამ მოიცივა ჩვენი ოჯახი... მამა შვილს აღარ ენდობა, შვილი მამას. მე კი... — ამბობდა ბაბალე. თავზე ხელს უსვამდა გოგის, ელერსებოდა.


გოგი ხმას არ იღებდა, დედისთვის შეხედვა ვერ გატებდა: უსიამოვნო ფიქრი ათრობდა.

დაიხარა ბაბალე, ათრთოლებული ბაგეებით შეეხო შვილის ლოკას. — მითხარი მაინც რა მოხდა? — წასჩურჩულა ტკბილი ხმით.

სიამემ შეაჯრეოლა გოგი, შენკრთილა და თვალედახუჭული მოეხვია დედას, აკოცა და ცრემლეების ნაკადული გადმოსცივდა თვალეებიდან.

— მე მეგონა, რომ მამა... ჩამოშორდა იმ ხალხს, ის კი... — ამბობდა გოგი და მაგრად ეხებოდა დედის თბილ მეკრდს.

ბაბალე მიხვდა რაშიაც იყო საქმე, გულმა უფრო მშლავრად დაუწყო ცემა, ჰაერი ეცოტავა, მიწის ფერი დაედო, იმ წუთს სძულდა ყველაფერი, სძულდა ოჯახი, მეუფლე და სამზეო...



— მაშე, ტაბლას ვუღვამიდი კაცს, რომელსაც...
 ვინ იცის რამდენი ბავშვი აუტირებია, რამდენი
 ოჯახი გაუტიალებია... მივინებლობა...—ჩაილაპარაკა
 ბაბალემ. სიმწარით მთელი ტანი სტკიოდა, სინათ-
 ლისა გწინოდა, საკუთარი თავის რცხვენოდა, დახე-
 და მკერდზე მიყუდებულ შვილს, შუბლზე აკოცა.
 — შვილო! — თქვა მან. ხმაზე სიბრაზე დაე-
 ტყო, სახეს ფერი შეეცვალა...

ეუცხოვა დედის ხმა გოგის, ადგომა დააპი-
 რა. დედამ თავს გადაუწია, თვალგებში ჩახედა.

— შვილო!—გაიმეორა მან.
 სიჩუმე ჩამოწვა ოთახში, თითქოს კედლებიც
 უსმენსოა დედის ხმას. გოგი, დედის თვალებს არ
 აშორებდა თვალებს, რომელნიც საოცრად გაბრწყინ-
 ნებოდა ბაბალეს; იხატებოდა შინი და წადილი რა-
 ლაცისა.

— სამშობლოზე ტკბილი არაფერია ვაქცაცისა-
 თვის...—დაიწყო მან.—სამშობლოს მოღალატე დე-
 დის ძეძუს გმობს... დედის პატივისცემა სამშობ-
 ლოს პატივისცემა... ველარ ავიტანე ლეოს საქ-
 ციელი. წადი!

— სად?—წამოძახა შემერთალმა გოგომ.
 — შინსახკომში! წადი და უთხარი, რომ...—
 ხელ-ფეხი აუთრთოდა ბაბალეს, ძალამ უღალატა,
 მაგრამ ლეოს სახე დაუდგა თვალწინ, გამკაცრდა
 კვლავ.

— უთხარი, რომ მამა...
 მიხვდა გოგი, სწორად წამოხტა ფეხზე, თვალე-
 ბი მოიწმინდა, ტანისამოსი შეისწორა.

— ვიცი!—თქვა და კარებისკენ წავიდა.
 ბაბალეს ბიჯი წაეძრა შვილისკენ, ხელები გაუ-
 წოდა, თითქოს დაბრუნება სურსო, მაგრამ გოგი
 მოსწყდა კარებს და მავრად მიხურა...

კარებში გასვლისთანავე გოგომ მაგარი დარტ-
 ყმა იგრძნო, წაბარბაცდა, კიბეს მიაწყდა, შემკრთა-
 ლი შემოტრიალდა. ლეო ამაყად დადგა მის წინ.

— სად მიდიოდი?!—უთხრა მან და უფრო ბრა-

ზიანად დაუმატა:—ფეხის გადადგმა და სიკვდილი
 ერთია შენთვის... შემოამყვი!

გოგი დაბნა მოულოდნელობით, უხმოდ
 ლეოს, შეაკრთო მშობლიურმა ძალამ, მაგრამ ოთა-
 ხში შესვლისთანავე ძალა დაუბრუნდა, მამის ხელი
 სისხლში შესვრილი მოეგვნა, კისერზე რომ მოხ-
 ვეოდა ცივი თითებით, შეაქრყოლა, გაიწია.

— მეშინის!—წამოძახა უნებურად.
 გაიცინა ლეომ, სიცილში იყო შინწარევი ზი-
 ზი, მხოლოდ ბავენი იცინოდნენ, სახე და თვალე
 ბი ცივი იყო, გაქვავებულ.

გოგომ კარებისკენ დაიწია: წამქცევა სურდა.
 ლეომ სწრაფი ნახტომი გააკეთა, წამოეწია, მაგრად
 დაიჭირა, მაგიდასთან მიიჭირა... მაგიდის შუა უჯ-
 რა გამოალო, თანაც ბუზღუნებდა:

— მე მოგეცი სიცოცხლე... ჩემი ხელით წაგა-
 რთმე,—უფრიდან სისვლად მოეღვარე ბრაუნინგი
 ამოიღო, თვალები გაუსწორა გოგის.

— მიდიოდი, განა?—მე ყველაფერი მოვისმინე
 და ესლა... — ზიზლით ჩაილაპარაკა მან, გაჩუმდა...
 — მამის მოღალატე შვილს, მხოლოდ სიკვდი-
 ლით აჯილდოვებენ...

გოგის მთელი ტანი გაუცივდა: შავი სიკვდილი
 ჩამოდგა მის წინ, მხოლოდ ეს თქვა:

— ნუ!—მეტე ველარაფერი მოასწრო: ცივი
 ლულა გაუსწორდა მის თვალებს და მძლავრი ხმაურ-
 ით გაიფსო ოთახი, მხოლოდ წამით... სიჩუმე
 დაწვა კვლავ. ლეო კანკალმა აიტანა, არეული თვა-
 ლებით დააკვირდა ფეხებთან დაცემულ შვილს.
 სწორედ ამ დროს კარები გაიღო. ლეოს არ მიუ-
 ხედნია: შემოსული ბაბალე ეგონა, მაგრამ მძლავრი
 ხელი დაცვა მის მხარს, შემოატრიალა: შინსახკომელი
 არწიველი მზერით უჭკერტდა.

— ხელი არ განაძრო!—უთხრა მან.
 თითქოს უკვდავების წამალი მისწვდაო გულს: გო-
 გიმ აიწია, მიზნადილი თვალებით შეხედა ჩეკისტს.
 — ძლივს... ახლა კი მე არაფერი მიშავს—ჩაილა-
 პარაკა მან.



მივდივართ, გვენთება გულები ყველას,
 მივდივართ სიმღერით, მივდივართ ლხენით,
 მტკიცედ რომ დავიცვათ, უღირსმა მტერმა
 რომ ვერ გადალახოს საზღვრები ჩვენი!
 ცა ლავეარდოვანი დნება და იწვის,
 ცაზე მზე ენთება სხივების მფენი,
 მივდივართ, მივდივართ სტალინურ ფიცით,
 რომ მტკიცედ დავიცვათ სამშობლო ჩვენი!

ახალწვეული ს. ზარინძე.

ქეთო თოთიბაძე

ყირგიზეთის ერთ პატარა ქალაქ პიშპეკში ცხოვრობდა ფერშლი ვასილ პავლეს ძე ფრუნზე. თითქმის მთელი ქალაქი იცნობდა ამ ფერშალს.

ის უყვარდათ, რადგან გულკეთილი იყო; ის უყვარდათ, რადგან გაქირებულებს დაუზარებლად ეხმარებოდა, ის უყვარდათ, რადგან თავდაბალი და ყველა მისიყვარულე იყო.

იმ დროს ფრუნზეს ოჯახი მყუდროდ ცხოვრობდა. ფერშლის ბავშვები სკოლაში სწავლობდნენ, მუშულე კი ოჯახში ტრიალებდა და უვლიდა თავის პირმშობებს.

ასე მიდიოდა დღეები.

მაგრამ ერთხელ, რატომღაც, ვასილი ავიდა გახდა. ცოტახანს იავადმყოფა და გამოესალმა სიცოცხლეს. მაშინ, გარდაცვლილი ფერშლის უფროსი ვაჟი მიხეილი მხოლოდ თორმეტი წლისა იყო.

ოჯახი ერთბაშად ცუდ მდგომარეობაში ჩაეარდა, ბავშვებს სიმშლი ემუქრებოდა, დახმარების ხელი კი არასიდან ჩანდა, საშველი თითქოს არსაიდან იყო.

მაგრამ გული არ გაიტება მკვიცხლმა და ნიქიტრა პატარა ბიჭმა—მიხეილმა. მან იფიქრა, იფიქრა და გამოსავალიც მოიხაზა: დაიწყო გავებითების გადაცემა, ასწავლიდა სხვებს. ამით ოჯახსაც ინახავდა და თვითონაც სწავლობდა გიმნაზიაში.

ასე, წვალებით დაასრულა გიმნაზია და შევიდა პეტერბურგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. იქ ახალგაზრდა მიხეილ ფრუნზე შევიდა პარტიაში და იმთავითვე ლენინის მხარეზე დადგა. მალე მხურვალე მონაწილეობაც მიიღო დიდ რევოლუციურ დემონსტრაციაში. მაგრამ იგი სხვებთან ერთად დაატუსაღეს, ჩასვეს ციხეში, გაასამართლეს და ქალაქიდან გასახლება მიუსაჯეს.

წავიდა პეტერბურგიდან ახალგაზრდა რევოლუციონერი, წავიდა და მოსკოვში ამოყო თავი. მოსკოვში ცოტახანს იმუშავა და შემდეგ ივანოვო-ვოზნესენსკში გადავიდა. აქ მან მოაწყო ფეიქარათა ცნობილი დიდი გაფიცვა. ეს გაფიცვა, როგორც ვიცით, 1905 წელს მოხდა.

მეფის დაგვიშლმა ქოვაკებმა, პოლიციელებმა, გაფაციცებთ დაიწყეს ფრუნზეს ძებნა, ვაგზაუნეს აგენტები აქეთ იქით.

ერთხელ, ცხრაას შვიდი წლის იანვარში, ქალაქ შუისი ერთ-ერთ განაპირა ქუჩაში მიდიოდნენ ფრუნზე და მისი ამხანაგები. მათ დაინახეს პოლიციის ერთგული აგენტი, ურიადნიკი პერლოვი. იგი ფრთხილად იცქირებოდა ვარშემო, საკბილოს ეძებდა.

— კარგი იქნება, რომ მოგვსთათ ეს ძალდი,— თქვა ერთმა.

ამის ვაგონებზე ფრუნზემ წაიჩოქა, იძრო მუშურის და ესროლა ურიადნიკს. მაგრამ ტყვია მიზანს ასცდა. ურიადნიკი მობრუნდა და საპასუხო სროლა ატეხა. ფრუნზეს მუშურში კი ტყვია გაეხირა. შეუძლებელი იყო ბრძოლა. ამიტომ ქერქვეშელები გაქცნენ.



მიხეილს ძალიან უჭირდა გაქცევა, რადგან ცალი ფეხით კოჭლობდა. ის ამ შემთხვევაში რამდენიმე ხნით აღრე თოკით ათრის მთვარალმა ყაზახებმა და ფეხი დაუზიანეს. მაგრამ, მაშინ მაინც გადაიჩინა თავი გამპირახმა რევოლუციონერმა.

ახლა კი თითქო ხსნა არსად არის, ქუჩა ხმაურობს, ურიადნიკი პერლოვი ისვრის. თითქოს ხსნა არსად არის... მაგრამ მან აქაც დალახა თავი, გადაარჩა.

ორი თვის შემდეგ მაინც მიაგნო პოლიციამ შუაში რევოლუციონერთა საიდუმლო ბინას, ოცდაოთხ მარტს ალყა შემოარტყეს მათ.

მაშინ ფრუნზე იქ იყო. ხელში ორი რევოლვერი ეჭირა. უნდოდა სროლა აეტეხა, მაგრამ თავი შეიკავა, რადგან სახლში ბავშვები ცხოვრობდნენ. დააპატიმრეს უშიშარი მებრძოლი და წაიყვანეს ციხეში.

არ გასულიყო ერთი საათიც, და ქალაქში ხმა გავრცელდა: არსენი დააპატიმრესო. (არსენი ფრუნზეს პარტიული მენტახელი იყო)

მეშვებმა შეწყვიტეს მუშაობა, მიადგნენ ციხეს და დაიწყეს ყვირილი:

— არსენა მოვევით, ჩვენი არსენაო.

ციხის უფროსებმა ხრიკებითა და ტყუილი დაპირებებით დაამშვედეს მუშები, ფრუნზე კი სასწრაფოდ გაგზავნეს სხვაგან, ვლადიმირის ციხეში.

ამ ამის შემდეგ რამდენიმე თვემ განვლო. ერთხელ, ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე, ურიადნიკი პერლოვი შემთხვევით შეხვდა ფრუნზეს. დააკვირდა მას, დააკვირდა და ვაიკებთ წამოძახა: „ეს ხომ ის კაცია, მე რომ მესროლა!“

ჩვენება ჩამოართვეს ურიადნიკს, მიხილ ვასილის-ძეს კი სასიკვდილო განაჩენის მუხლი მიუყენეს. მაღე გასამართლებაც მოხდა. გამოტანილ იქნა სასიკვდილო განაჩენი.

განაჩენი თვით ფრუნზემ მოისმინა თავისი ყურებით, მაგრამ თითქოს არაფერიო, ვულგარულად მიიღო სასამართლოს გადაწყვეტილება.

როცა კვლავ ციხის საკანში დაბრუნეს, იგი თავს კვლავ ჩვეულებრივად გრძობდა, იჯდა და მეცადინეობდა. სწავლობდა იტალიურ და ინგლისურ ენებს. მიხილ ვასილის-ძე არ ფიქრობდა სიკვდილზე, ის უტყობოთი გაქცევაც ოცნებობდა.

მაღე სასამართლომ განაჩენი შეცვალა, ვინაიდან არ აღმოჩნდა ბრალდების დამამტკიცებელი საბუთები. მაგრამ ურიადნიკმა საკმე ვაპროტესტა.

კვლავ დაინიშნა პროცესი, კვლავ სასიკვდილო მუხლი, კვლავ სასიკვდილო განაჩენი...

დღეები მიდიოდა, ფრუნზე კი ციხეში იჯდა და ჩვეულებრივად მეცადინეობდა. ამხანაგები სიბრაულულით უტყუარდნენ მიხილ ვასილის-ძეს, სიბრაულულით აკვირდებოდნენ მის სველ კისერს. მათი აზრით, ეს კისერი დღეს თუ ხვალ გაეყრებოდა მარჯუში და... ვეღარასოდეს ვეღარ ნახავდნენ ამ ყველაზე საყვარელ, ყველაზე უნაგარო ამხანაგს.

მაგრამ დღე დღეს მისდევდა, ღამე ღამეს და განაჩენის შესრულებას არ აჩქარებდნენ. ჩანდა, საკმე სხვაწიარად მიდიოდა.

მართლაც, შემდეგ განაჩენი ისევ შეცვალეს და მიხილ ვასილის-ძეს ექვსი წლის კატორა მიუსაჯეს. კატორაში ფრუნზე ამხანაგების სული და გული იყო, ადვიტებდა ჩაქობილ, შეუნელებელი ბრძოლის აზრს, შექმონდა სიმშველდ საყარობლის მოღუშული, მძიმე დღეების გალიზიანებულ და წერვულ ატმოსფეროში.

კარგახანი დაწყო მიხილ ფრუნზემ საკატორლო ციხეში. ბოლოს იგი განათავისუფლეს.

მსოფლიო ომის დაწყების წელს ფრუნზე ირკუტსკის გუბერნიაში დაესახლა. მაგრამ იქაც დააპატიმრეს რევოლუციური ორგანიზაციის შექმნისათვის. დაპატიმრებისთანავე გაქცევაც დაიწყო ფიქრო ფრუნზემ და კიდევ მაღე მოახერხა ეს. გაიპარა და ჩავიდა ზაბაიკალის ოლქში. იქ გვარი გამოიკვალა, ვასილენკო დაირქვა.

ზაბაიკალშიაც არ მოახერხეს პოლიციელმა გატეტელი მებრძოლი; გამოიცინეს, რომ ის ვასილენკო კი არა, ფრუნზე იყო.

დროზე გაიგო ეს მიხილ ვასილის-ძემ ტრ. წამტყუნი კა იქიდან, მიხაილოვის გვარიან შევიდა სამხედრო სამსახურში და გააჩალა მუშაობა ჯარში არალეგალური რევოლუციური ორგანიზაციების შესაქმნელად. სწრაფად მოახერხა ეს, შექმნა ორგანიზაციები. ამ ორგანიზაციების ცენტრი იყო ქალაქი მინსკი.

ოქტომბრის რევოლუციის პირველ თვეებში ფრუნზე ქალაქ შუთაში ჩავიდა. ერთბაშად გააოცოცხლდა მუშაობა ქალაქში, დაიწყო შეუნელებელი ბრძოლა თავისუფლებისათვის. ფრუნზემ შეკრიბა ივანოვსა და შუთის შეიარაღული ძალები და ერთდღეს დაძრა ისინი მოსკოვისაკენ. ჩავიდა იქ და თავისი მრავალრიცხოვანი რაზმით უშუალო მონაწილეობა მიიღო ქალაქის ქუჩებში მომიხარ ბრძოლაში.

გაიმარჯვა ძლევაშისღმა რევოლუციამ. მაგრამ არ გატყდა მტერი. გამორტებულმა ნაძირალებმა შემოიკრიბეს მთელი ძალონე და გაათრებთ შეუტრეს ახალგაზრდა საბუთოა ქვეყანას. დაიწყო სამოქალაქო ომი.

მიხილ ვასილის-ძე ფრუნზემ მთელი თავისი ენერგიით ჩაება ბრძოლაში. ხან სად მუშაობდა ის, ხან სად და ყველგან სასწაულებს ახდენდა.

აი, თეთრები მოიწვევენ მოსკოვისაკენ, ისინი დარწმუნებულნი არიან თვინათ გამარჯვებაში. მათი მატარებლის ვაგონებზე წერია: კომრანი-უფა-მოსკოვი. თითქოს ჩვეულებრივი ამბავია, თითქოს მატარებელს არაფერი დაუდგება წინ და მშვიდობიანად მივა მოსკოვიში.

მაგრამ უფსითან ფრუნზეს ჯარია ჩასაფრებული. უტებ ხმა დაირხა:

— მოდიან თეთრები!

ფრუნზელემ ხედავენ: მართლაც მოდიან ისინი! მოდიან თუთგალები, ურიკები...

წითლებმა გზა ვადაუღოვნეს. მაგრამ გრივალვით მოაწყდნენ მათ თეთრები. აქა-იქ დაბნეულობაში იჩინა თავი, ეს შენიშნა გამპრიახმა სარდალმა და მიეღო ხმით შესძახა:

— წინ, ამხანაგებო! არცერთი ნაბიჯი უკან! წინ, ჩემთან! სარდალი თქვენთანა!

და თვითონ ფრუნზე გაიქცა წინ, მას მიჰყვნენ მებრძოლები. თეთრების რაგები შეტორტმანდა. მაღე ისინი დაიბნენ და გაიქცნენ.

კირომის ნახევარტუნქული მტრებით იყო სავსე. აქ იღვა გენერალი ვრანგელი. მას ეხმარებოდნენ უცხოელი იმპერიალისტები. ვრანგელთან იყვნენ ევროპელი ინჟინრები, სამხედრო საეკიალისტები. თეთრი გენერალი დარწმუნებული იყო, რომ ის „ისხნიდა რუსეთს კომუნისტებისაგან“.

დღით მტრებმა სროლა დაიწყეს ნახევარტუნქულიდან. მაღე გაანდაღურეს სრუტეებში მდგარი წითლების ოცამდე ნავი. შუადღისას ჯავშნოსანიც დაიბრა, ატეხა სროლა, მაგრამ იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო.

დალაშქრდა. ამოვარდა ქარი. ცევა. სხეული იყინება. მტრებმა ისევ ატეხეს სროლა. ახლომახლო ცემა ყუმბარები, წინ მოაწვივენ მტრების ჯაგშროსნები.

საშინელი ღამეა, ერთი გამოუთქმელი, აუწერელი. ერთერთ სანგარში ვილაკამ თქვა:

- სარდალი მოვიდა!
- მოვიდა ფრუნზე!

ეს სიტყვები მალე გავრცელდა მთელ ფრონტზე. აგიზგივნა იმედის კოკონი: ფრუნზე აქ არის, მაშ, გამარჯვება აუცილებელია!

მტერი მაინც არ ისვენებს. დროდადრო წამოვავა უხარმაზარი ჯაგშროსანი, გააჩაღებს ცეცხლს და უკან დაბრუნდება.

აუცილებელია კონტრშეტევა, აუცილებელია იერიში. აი, კიდევ დაიძრა წინ ერთი ათასეული. მებრძოლები სიბნელეში შთანთქა. მიდიან, მიდიან, მაგრამ ვხაზე არაფერ ხედებათ. შვი სიბნელეა, შემაძრწუნებელი სიჩუმე.

უცებ მტრის ჯაგშროსანმა ცეცხლი გახსნა. წითლებმაც სროლით უბასუსეს. ცოტა ხნით მიყრუებულნი მიდამო დამაყრუებელმა ხმამ მოიცვა. წითლების ათასეული ათასეული მიჰყვა. ჯაგშროსანმა შენიშნა ეს და უკან დაიწია.

— ამდენი კაცი დაიღუპა, ჯაგშროსანი მაინც ხელიდან გვეცლება! — დაიძახა სიბნელეში ერთმა.

— ჯაგშროსანი უნდა ავიდოთ. გზა უნდა აგყაროთ უკან! — გაისმა განკარგულთა.

წითლებმა თავი დაუარეს ჯაგშროსანს და გადააკეტეს. მტერი დანებდა, მაგრამ ეს ძალიან ძვირად დაუჯდათ წითლებს: ათასეულიდან მხოლოდ ოცი კაცი გადაარჩა ცოცხალი.

ამით დამცაფილებმა არ შეიძლებოდა. საჭირო იყო წინსვლა. თავისუფლებისათვის თავგანწირული მებრძოლები იერიშით ვადვიდნენ ნახევარკუნძულზე. გააფთრებული ბრძოლის შემდეგ მტრებმა დატოვეს ნახევარკუნძული. წითლების გამარჯვება აქ არავის საკურობდა. მაგრამ ასე კი მოხდა, წითლებმა გაიმარჯვეს, და ეს მოხდა იმიტომ, რომ ბრძოლებს თვით ფრუნზე ხელმძღვანელობდა.

მიხეილ ვასილისძე ფრუნზე არ იცოდა დამარცხება. მას თავისი მამაცი მებრძოლებით ყველაზე გაუმარჯვანია. სამოქალაქო ომის დროს რამდენიმე არმიისა და ფრონტის სარდალი იყო.

უკანასკნელ დროს ფრუნზე ჩვენი უხარმაზარი ქვეყნის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარად მუშაობდა.

1925 წლის ოკტაბერიმეტ ოქტომბრის გარდაცვალება მიხეილ ვასილისძე. ფრუნეს დაკრძალვაზე ბოლშევიკების პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით გამოვიდა ამხანაგი სტალინი. ხალხმა ბელადმა თავის სიტყვაში აღნიშნა:

„ამხანაგ ფრუნეს სახით ჩვენ დავკარგეთ ჩვენი დროის ერთერთი ყველაზე ფაქიზი, ყველაზე პარტიოსანი და ყველაზე უშიშარი რევოლუციონერი“.

დიდი პოლიტიკური სარდლის სახელი მარად დაუფიქრარი იქნება.



3. ხარკიდა

საქ. ალკ თბ. კომ. ინსტრუქტორი სკოლების ხაზით.

ბუჯაოჯბინათ ჰიბუჯაოთ

ბავშვებო! ჰიონერთა აქტივის გადარჩევების დროს თქვენ აირჩიეთ ჰიონერთა ახალი აქტივი.

ამ ახლად არჩეულ აქტივზეა დამოკიდებული ჰიონერარაზუმებისა და რგოლების მუშაობა. აქტივმა და ყველა ჰიონერებმა უნდა იბრძოლონ თავიანთი ძირითადი ამოცანის შესასრულებლად. ეს ძირითადი ამოცანა კი იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ჰიონერი სწავლობდეს კარგად, სწავლობდეს წარჩინებულად. იმისათვის, რომ თქვენ შეასრულოთ ეს ამოცანა, აუცილებელია დაუჯეროთ მასწავლებელს, მოაწყვაო სოცშეგობრება სკოლაში, ყურადღებით იყოთ დაკვეთილებზე, გულმოდგინედ შეასრულოთ საშინაო დავალებები, დაუმაროთ ერთმანეთს და ამით თავიდან აიცილოთ ჩამორჩენა ამა თუ იმ საგანში. თქვენ უნდა ისწავლოდეთ თქვენი კლასის წარმატებისაკენ. თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ საუკეთესო წარმატებას მიახწევთ მაშინ, როდესაც წესიერებას

დაიცავთ, ხოლო წესრიგის დამრღვევ ამხანაგებს კი თქვენ თვითონ ვაკიცხავთ. სადაც წესიერება მეფობს, იქ საქმეც კარგად მიდის.

უნდა ვითხარათ, რომ რაზმის კარგი მუშაობა არა ნაკლებია დამოკიდებული, რაზმის ხელმძღვანელს გარდა, თვით რაზმის საბჭოს თავმჯდომარეზე. რაზმის საბჭოს უშუალო მოვალეობას შეადგენს სათავეში ჩაუდგეს ჰიონერთა შრომის სოცშეგობრების ორგანიზაციის საუკეთესო სწავლისათვის.

რაზმის საბჭო ეხმარება აგრეთვე რგოლებისა და წრეების ხელმძღვანელებს, ეცნობა მათ მუშაობას და თვალყურს ადევნებს დავალებათა შესრულების სიზუსტეს. რაზმის საბჭო აწყობს საერთო სარაზმო ღონისძიებებს, ასე, მაგალითად, ნორმების ჩაბარება სამხედრო თავდაცვით ნიშნებზე, სამხედრო თამაშში, ლაშქრობა და სხვა. რაზმის საბჭო რეკომენდაციას აძლევს მოწაფეს პირნერი-ორგანიზაციაში მისაღებად.



ახლა ვილაპარაკოთ პიონერთა რგოლებზე. უპირველეს ყოვლისა რგოლში პირველ შეკრებაზე უნდა შეადგინოს სამუშაო გეგმა, რომელშიც უნდა გაითვალისწინოს ყველაფერი, რასაც ვააკეთებთ იგი ერთი თვის მანძილზე.

არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ პიონერთა რაზმის მუშაობის საფუძველს რგოლი წარმოადგენს. თუ რგოლი კარგად მუშაობს, რაზმის მუშაობაც კარგი იქნება.

რგოლისა და პირველ რიგში მისი მეთაურის მუშაობა უნდა წარმართოს იქითკენ, რომ პიონერები კარგად სწავლობდნენ. გარდა ამისა, რგოლში უნდა მოაწყოს კოლექტიური სვლა კინო-თეატრებში, ჩაბაროს ნორმები სამხედრო-თავდაცვით ნიშნებზე. რგოლი აწვინებს რაზმის საერთო შეკრებას თავის წარმატებებს. დაბაროს, რგოლი ამზადებს მოწოდებებს პიონერთა ორგანიზაციაში მისაღებად, აცნობს მათ პიონერულ მუშაობას და შეასწავლის „პიონერის სახეიშო დაპირებას“.

აი, სახეიშო დაპირება: „მე, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ნორჩი პიონერი, ჩემი ამხანაგების წინაშე დაპირებას ვიძლევი, რომ მედგრაღ ვიბრძოლებ ლენინ-სტალინის საქმისათვის, კომუნისმის გამარჯვებისათვის.“

გპირდებით, ვიცხოვრო და ვისწავლო ისე, რომ გავხდე ჩემი სოციალისტური სამშობლოს ღირსეული მოქალაქე.

პატიოსნად და განუხრებლად შევსრულებ ნორჩი პიონერების ყოვალ-ქცევის წესს“.

ყოველ თვეში ერთხელ, რაზმში ჩატარებული მუშაობის შესაჯამებლად, ტარდება რაზმის საერთო შეკრება.

რაზმის შეკრებაზე აუცილებლად რაიმე საფუძვლიანი თემა უნდა ირჩეოდეს—იქნება ეს აკადემიური წარმატება, საუბარი გამოჩენილ ადამიანზე თუ სხვა. ძირითად თემებთან ერთად რაზმის საერთო შეკრებაზე განხილულ უნდა იქნეს აგრეთვე შინასარაზმო საკითხები (საწერო მუშაობის შესახებ, საორგანიზაციო საკითხები, მოწოდება პიონერორგანიზაციაში და სხვა). არ არის სავალდებულო, რომ ყველა რაზმის შეკრებები იწყებოდეს ერთნაირად. რაზმის შეკრება შეიძლება დაწყებულ იქნეს მასობრივი თამაშითა და საუბრითაც. შეკრება უნდა იყოს მრავალდეროვანი: საუბართან ერთად უნდა იყოს თამაშიც, ცეკვაც, სიმღერაც, გამოცანაც, ვარჯიშიც და სხვა, რაც კი ახალი იქნება ბავშვებისათვის.



ბავშვებო, თქვენ ისე არ ვაგოთ, თითქოს რაზმის შეკრება იყოს ესტრადა, რომელზედაც პიონერები აჩვენებენ თავიანთ მხატვრულ შემოქმედებას.

ეს არის ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის კრება, რომელიც იხილავს თავის საკომუნისტურ საკითხებს, ცალკეულ პიონერს ყოფაქცევას, მეცადინეობას, აჩვენებს ცალკეული რგოლების წარმატებებს და იღებს მოწოდებებს პიონერთა რიგებში.

რაზმის შეკრებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა პიონერმა, თქვენ მასპინძლები უნდა იყოთ და არა სტუმრები.

ჩვენ მოკლედ ვისაუბრეთ იმის შესახებ, თუ რა მუშაობა უნდა ჩატარონ პიონერთა რაზმის საბჭოში და რგოლში. აბეგ უნდა თქვათ, რომ ჩატარებულ მუშაობას ვერ დადინახავთ, თუ არ მოგაწყვეთ ყოველივე ამის აღრიცხვა. რაზმის მუშაობის აღრიცხვა უნდა წარმოებდეს სპეციალურ ალბომში, რომელშიც ჩაიწერება რაზმის შეკრებათა დღიურები, წრეების მუშაობა, ჩატარებული ექსკურსიები, ნორმებზე ჩაბარება, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რასაც რაზმი აკეთებს.




პიონერებო, თქვენს უშუალო მოვალეობას შეადგენს სწავლასთან ერთად მიეჩვიეთ შრომასაც და არ დაემსგავსოთ ბავშვებს, რომელთაც არ შეუძლიათ ლოგინის გაშლა, ჩაის ალიღება, დილის დაკრება, ცხვირსახოცის გარეცხვა და სხვა. თქვენ ამ საკითხს სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდეთ და პრაქტიკულად უნდა შეუდგეთ შრომის ათვისებას.

აბა, ამ ახლა ხანში გასინჯეთ თქვენი ტექნიკური ცოდნა, შეიკრიბეთ მთელი რაზმი ან რგოლი და მიღით მახლობელ საბავშვო ბაღში, სადაც აუარებელი საბავშვო სათამაშო იქნება დამტკრებული, სინჯეთ მათი შეკეთება. ვფიქრობთ, უმეტესობა კარგ ხელოსნობას გამოიჩენს, ის კი, ვისაც ეუცხოება ეს საქმე, უნდა მიეჩვიოს მას.

კარგი იქნება აგრეთვე შექმნათ ტექნიკური წრეები, რომლებშიც მიეჩვეით ხელოსნობას.

თქვენ შეგიძლიათ ჩამოაყალიბოთ სხვა წრეებიც: ცეკვის, ხაზის, მუსიკის, ქარგის, მხოლოდ ყველაგან აქტიურად უნდა იმუშაოთ, ცოცხლად უნდა გავსალოთ მუშაობა.

სასურველი იქნება, თუ თქვენ მისწერთ „პიონერის“ რედაქციას თქვენ საქმიანობაზე წერილები, გამოუგზავნით ნახატებს და თქვენს სხვა ნამუშევრებს. რედაქცია მოაწყობს ნამუშევრების გამოფენას, საინტერესო წერილებს კი დაბეჭდავს ჟურნალში.



დაცულია მთა-ველები

დაცულია მთა-ველები,
ჩვენ საზღვრები არ გვაქვს ღია,
ვერ შეზღვევენ მძარცველები,
ხმას ისმენენ ომახიანს,
ჩვენი გმირი დამცველები
ველებს მედგრად დასძახიან:
— თავზე დაფერენთ შშობელ მიწას,
რომ მტერი არ მოეკაროს,
ჩვენ სამშობლოს მედგრად ვიცავთ,
მზად ვართ თავი ვანაცვალოთ,
დიდ სტალინის სახელს ვფიცავთ,
მტერი არსად გავახაროთ!
დაესრიალებთ კიდით-კიდე!

მტერიმ მოსვლა თუ გაბედა,—
მას ვანახებთ ერთხელ კიდე,
როგორ ვიცით ჩვენ დახვედრა,
თუნდ გვაჩვენოს ყალბი რიდე,
დამარცხებას ნახავს ხვედრაოდ!
ჩვენ დავფრინავთ ფრთავაშლილი,
შორს, შორს გვიტრის ორთავ თვალი,
გზას გვიკაფავს ჯულაშვილი,
ხალხის გული, ხალხის ხმალი,
ერთგულნი ვართ შენი შვილნი,
გეფიცებით, დიღო სტალინი!

ამჟო თაბუაშვილი.

თბილისის მე-14 სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე.



გავდივარ მინდვრად,— ყვავის გარემო,
გავხედავ ირგვლივ,— მწვანე მთებია;
სასიხარულო გრძნობის ტალღები
განთიადივით აღინთებია.

ეფიჭობ: ამ მთებსა და ამ მინდვრებში
მეცაწილი მიდევს, მეც მაქვს ზიარი;
მეც ამ მიწაწყლის ვარ ერთი შვილი
და მიყვარს გულით მხარე მზიანი.



უძვირფასესო დედავ, სამშობლოვ,
შენ უტკბენი ხარ ყველა დედაზე,
შენზე გულთბილ და მახლობელ მშობელს
ვერვინ იპოვნის მთელ ქვეყანაზე.

დე, კვლავ ყვაოდეს შენი მიდამო,
სანამ მზის შუქი ათობს ქვეყანას!
იზარდე, ვიდრე ამკობს ყვავილი
გაზაფხულობით შენს ველს და ყანას!

აბაკი ზაბაღა.

ზემო სვანეთი, მესტია, პედსასწავლებლის მოსწავლე





1. სახლი სოფელ ვარიანში, რომელშიც ცხოვრობდა ბავშვებისას იაკობ გოგებაშვილი.

3. სახლი სოფელ ვარიანში, სადაც დაიბადა იაკობ გოგებაშვილი.